

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე კ. ლაბუჩიძე. კომისიის წევრები:
გ. კეთილაძე, გ. რჩულიშვილი, გ. შალვაშვილი, თ. ნავროზაშვილი, ა. ნებიერიძე,
ნ. ელისაშვილი, გ. ჭიჭინაძე, თ. ფრუიძე, ე. დადიანი, კ. ბაბუაძე. სატენდერო კომისიის
აპარატის წევრები: ვ. ადამია და რ. გუგუშვილი.

დღის წესრიგი:

რაიონის ტერიტორიაზე ქუჩების, შიდა ეზოების, ორმოულებისა და მიმდინარე
საგზაო სამუშაოების დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების შედგენის
მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე სატენდერო პირობებისა (სატენდერო
განცხადება და სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტი) და სისტემაში ელექტრონულად
შესავსები სატენდერო პირობების პროექტის დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრმა გ. შალვაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია
რაიონის ტერიტორიაზე ქუჩების, შიდა ეზოების, ორმოულებისა და მიმდინარე
საგზაო სამუშაოების დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების შედგენის
მომსახურების შესყიდვის შესახებ. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა
6 000 ლარი, დღგ-ს გარეშე. CPV კოდი 71320000. აღინიშნა რომ, იმ შემთხვევაში, თუ
ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ
სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება
შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია
პრეტენდენტს არ მოსთხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, იმის
გათვალისწინებით, რომ დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების შედგენის
მომსახურება თავის მხრივ არ შეიცავს მნიშვნელოვან მატერიალურ დანახარჯებს
(ძირითადად მიმწოდებლის ხელფასი და კომპანიის არამატერიალური დანახარჯები).
სატენდერო კომისიის წევრმა ა. ნებიერიძემ კომისიის წევრებს გააცნო სატენდერო
პირობების ძირითადი პარამეტრები და სისტემაში ელექტრონულად შესავსები
სატენდერო პირობების პროექტი.

გადაწყვიტეს:

1. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-15
მუხლისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს რაიონის
ტერიტორიაზე ქუჩების, შიდა ეზოების, ორმოულებისა და მიმდინარე საგზაო
სამუშაოების დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების შედგენის
მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე სატენდერო პირობები (სატენდერო
განცხადება და სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტი) და სისტემაში
ელექტრონულად შესავსები სატენდერო პირობების პროექტი;

2. სატენდერო პირობები განთავსდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სატენდერო კომისიის ყველა წევრმა.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

Handwritten signature გ. ლაბუჩიძე

სატენდერო კომისიის წევრები:

Handwritten signature გ. კეთილაძე

Handwritten signature გ. რჩელიშვილი

Handwritten signature გ. შალვაშვილი

Handwritten signature თ. ნავროზაშვილი

Handwritten signature ა. ნებიერიძე

Handwritten signature ნ. ელისაშვილი

Handwritten signature გ. ჭიჭინაძე

Handwritten signature თ. ფრუიძე

Handwritten signature ე. დადიანი

Handwritten signature კ. ბაბუაძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

Handwritten signature რ. გუგუშვილი

Handwritten signature ვ. ადამია